ხობის მოამბე

№6 (7121) 23 ივლისი,
ხუთშაბათი, 2020 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენით საარჩევნო კამპანია გახსნა

პარტია „ქართულმა ოცნებამ“ 20 ივლისს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სამეგრელოს რეგიონში ოცნების მიერ წარდგენილი კანდიდატები:

ზუგდიდი–ირაკლი ჩიქოვანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი.

ფოთი-ხობი-სენაკი-ირაკლი ხახუბია, მეწარმე, ქართული ოცნების წევრი.

აბაშა, მარტვილი, წალენჯიხა და ჩხოროწყუ–ალექსანდრე მოწერელია, რეგიონის მოქმედი გუბერნატორი.

პრეზენტაციაზე სიტყვით პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა:

„განათლება და ეკონომიკური კეთილდღეობა იქნება ჩვენი გუნდის მთავარი საქმე და მიზანი, რასაც საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს... მიხარია, რომ ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს ასე მალე დავუბრუნდით, ამიტომ მინდა დავიწყო მადლობით. მადლობა ჩვენს ეპიდემიოლოგებსა და ექიმებს. მადლობა „ქართული ოცნების“ გუნდს, რომელმაც თავდაუზოგავად იმუშავა და ქვეყანა დიდ განსაცდელს აარიდა. განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხალხს, რომელმაც მაღალი საზოგადოებრივი კულტურა აჩვენა, ენდო ხელისუფლებას და მის გარშემო გაერთიანდა. ჩვენ ყველამ ერთად შევიტანეთ წვლილი იმაში, რომ საქართველო დღეს ვირუსისგან თავისუფალ მწვანე ზონად მოიხსენიება. ამ კრიზისმა დაანახა ყველას, რომ ქვეყნის მართვის სადავეები სანდო ხელშია და რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არის ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის გარანტი, რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკის გამტარებელი. მინდა დარწმუნებით ვთქვა, გუნდი, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, კვლავაც შემძლეა იტვირთოს და ასწიოს ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა. ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში ჩვენმა გუნდმა ქვეყანა ბევრი მიმართულებით წინ წაიყვანა. პროგრესია პრაქტიკულად ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, არავინაა იმ ილუზიის ტყვეობაში, რომ ყველაფერი დალაგდა და პრობლემები არ არსებობს. ბევრია იმისთვის გასაკეთებელი, რომ ქვეყანამ შეუქცევადად გააგრძელოს განვითარება. რყევებით სავსე ეპოქაში საქართველომ ბოლო 8 წლის განმავლობაში შეუქცევადად შეინარჩუნა მშვიდობა, სტაბილურობა და დამსახურებულად ჩაეწერა უსაფრთხო ქვეყნების მოწინავე რიგებში. დღევანდელ ცვალებად მსოფლიოში, რა თქმა უნდა, საქართველოც დგება ახალი გამოწვევებისა და საკითხის ახლებურად გააზრების საჭიროების წინაშე, დღევანდელი რეალობა სულ სხვა დღის წესრიგს გვიყენებს. გამოწვევები ბევრია, საშინაო თუ საგარეო, რომელსაც ქვეყანა მზად უნდა დახვდეს...

„დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ კვლავაც დამაჯერებლად გაიმარჯვებს და ამაში მარწმუნებს ჩვენი ხალხი. მოდით, კვლავაც ერთად ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა, ვიაროთ წინ ევროპისკენ, ვაშენოთ ერთად დემოკრატია, ერთად ვიაროთ ერთიანი და ძლიერი საქართველოსკენ“,–განაცხადა ექსპრემიერმა.

ხობში კოლხური ხოხობი მოშენდება

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ და ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ 40 ჰექტარზე გაშენებული კოლხური ხოხბის საშენი მეურნეობა გახსნეს.

„ახალი საშენი მეურნეობის ტერიტორიაზე, ველური ბუნების სააგენტოს მიერ მოხდება როგორც ფლორის, ასევე ფაუნის აღწარმოება. რამდენიმე ათას ადგილობრივ კოლხურ ხოხობს ყოველწლიურად დაცულ ტერიტორიებზე გავუშვებთ. ადგილობრივი სახეობები, ფაქტობრივად, გადაშენების პირასაა და წითელ ნუსხაშია. აღწარმოება, რომელიც ახალ საშენ მეურნეობაში მოხდება, ხელს შეუწყობს როგორც გენეტიკური ფონდის შენარჩუნებას, ისე რეგულაციებით ნადირობის ახალ პერსპექტივებს გააჩენს. სამინისტრო წლებია უკვე ამ მიმართულებით მუშაობს და, ვფიქრობ, შედეგს მალე მივიღებთ,“–განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრი ადგილობრივ მონადირეებსაც შეხვდა და ნადირობის სეზონის გახსნის და რეგულაციების შესახებ ისაუბრა.

ნადირობის სეზონი აგვისტოს მე-4 შაბათს გაიხსნება. აღნიშნული გადაწყვეტილება სამინისტრომ სამეცნიერო-ექსპერტული წრეებიდან მიღებულ რეკომენდაციებზე და მონადირეთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობით მიიღო.

„დღევანდელ შეხვედრაზე დეტალურად განვიხილეთ ველური ბუნების სააგენტოს საქმიანობა და ახალ საშენ მეურნეობაში განსახორციელებელი ღონისძიებები. ჩვენ ვივლით იმ გზით, რომლითაც იარეს ევროპულმა ქვეყნებმა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ნადირობა დაშვებულია, პოპულაციების ზრდა დიდია. უნდა მოხდეს ყველა იმ სახეობის გამრავლება, რომელიც კოლხეთის დაბლობზე ბინადრობდა და დღეს გადაშენების პირასაა. მნიშვნელოვანია პროცესის დაწყება, რითაც ჩვენ შევძლებთ იმ წონასწორობის აღდგენას, რაც, სამწუხაროდ, ბოლო 30 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი, 90-იან წლებში იქნა დარღვეული,–განაცხადა ალექსანდრე მოწერელიამ.

ახალი საშენი მეურნეობის გახსნას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია, ველური ბუნების სააგენტოს ხელმძღვანელი რეზო ბეჟაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს თავჯდომარე ზურაბ ჩეკურიშვილი და ფონდის „განვითარება და გარემო“ თავმჯდომარე თემურ ტყემალაძე ესწრებოდნენ.

ხალხის ნება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტია

ბექა მამაცაშვილი–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ბატონო ბექა, გულწრფელად უნდა გითხრათ, როცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გახდით, არც ისე ცნობადი სახე იყავით. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, რომ იტყვიან, საქმემან თქვენმან გამოგაჩინათ... გთხოვთ, მომიყვეთ თქვენს შესახებ– ბავშვობა, ოჯახი, ერთი სიტყვით გაეცანით მკითხველს...

–დავიბადე და გავიზარდე ჭალადიდში, აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. მოვიარე სამხედრო სავალდებულო სამსახური. 2011 წელს დავამთავრე უმაღლესი განათლების აკადემია პროფესიით საბანკო საქმე და სადაზღვევო საქმე. 2017 წლამდე ვმუშაობდი სადაზღვევო კომპანიაში და ფოთის ნავსადგურში „შპს“ ტრანსფორდში უფროსი ინსპექტორის პოზიციაზე. მყავს მშობლები, დაძმა.

იყო ხალხის რჩეული, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ხომ არ გეშინოდათ ეს ტვირთი, თუ თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, აღებულ ვალდებულებას ადვილად აუღეთ ალღო?

–ხალხთან ურთიერთობა და მუშაობა ჩემთვის მანამდეც არ იყო უცხო, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ახლანდელ ჩემს პოზიციაზე უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მაგრამ ვცდილობ ყველანაირად ხალხთან ვიყო მჭიდრო კონტაქტში და ყველანაირად შევეცადო მათი საჭირბოროტო საკითხების შეძლებისდაგვარად მოგვარება. ვგრძნობ, რომ მაქვს ამის სურვილიც და ენერგიაც. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოწვევის საკრებულოს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. 2016 წლიდან 2018 წელს ჩვენს ორგანოს გადაეცა ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, რაც ნამდვილად აღსანიშნავია. ასევე საკითხები, რომელიც განსახილველად გადის საკრებულოზე, აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. ჩვენთვის კომფორტულია მოსახლეობასთან კომუნიკაცია. საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და უმრავლესობის სხვა წევრები ერთად სოციალური კამპანიის ფარგლებში აქტიურ გასვლებს ვაწარმოებთ

ობიექტებზე და განხორციელებულ თუ მიმდინარე პროექტებს ვაცნობთ დაინტერესებულ პირებს, რაც მოსახლეობაში იწვევს დიდ მოწონებას.

რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ ამომრჩევლის სიხარულმა, თუნდაც დაუმსახურებელმა საყვედურმა, ტკივილმა გულისგულში გაიაროს?..

–მოკლედ გიპასუხებთ გავიზიაროთ მათი გრძნობები და მათი თვალით შევხედოთ პრობლემებს.

ვიყოთ გულწრფელები, რამ გადაგაწყვეტინათ საკრებულოს დეპუტატობა? ამ გადასახედიდან იმდროინდელმა მოლოდინებმა გაგიმართლათ?

–მე იმიტომ ავირჩიე ეს პოზიცია, რომ მინდოდა გავრკვეულვიყავი ჩემს შესაძლებლობებში. მართალია უფრო რთული აღმოჩნდა ვიდრე მეგონა, მაგრამ ეს მეტ სტიმულს მაძლევს. მეძლევა საშუალება, რომ ჩემს სოფელს და მათ მაცხოვრებლებს გავუკეთო, რამე სასარგებლო და მაქსიმალურად დავეხმარო იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებიც მათ მიაჩნიათ პრობლემად.

მომავალი არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ტემპერატურა დღითიდღე იზრდება. ქართულ პოლიტიკაში დიდი და საინტერესო სიახლეებია (ვგულისხმობ კონსტიტუციაში და საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს). საინტერესოა თქვენი, როგორც პიროვნების და როგორც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავჯდომარის დამოკიდებულება და პოზიცია.

–ჩემი პოზიცია სრულად არის გუნდის პოზიციის თანხვედრაში და ყველა საკითხი წყდება ერთობლივად, რაც შეეხება არჩევნებს, ჩემი პოზიცია არის ოპტიმისტური და ცვლილებები სრულიად მისაღებია. კონკრეტულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლით „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხალხის ნება მათთვის არის უპირველესი პრიორიტეტი და ქვეყნაში დემოკრატიულ შეხედულებებს როგორც არასდროს, პატივს სცემს. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს არევნების დემოკრატიულად ჩატარებას ყოველგვარი კითხვების გარეშე. ხობში პოლიტიუკური ვითარება არის სტაბილური, თუმცა მოქმედებენ ოპოზიციური პარტიებიც.

საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენით „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო.

ბატონო ბექა, პანდემიამ, კოვიდ-19-მა, სხვა თვალით დაგვანახა სამყარო. რას იტყვით ამის შესახებ?

–ურთულესი გამოწვევა მოგვიწყო პანდემიამ. დიდი სირთულეები შექმნა, მაგრამ ქვეყანამ გაუძლო ამ დიდ გამოწვევას და წარმატებულადაც. შეიქმნა პანდემიასთან ბრძოლის მექანიზმები, მობილიზებულიქნა ყველა საჭირო შესაბამისი სამსახურები. „კოვიდ-19“ წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად დადგნენ ქართველი ექიმები, განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო ჩვენი რაიონის შვილის ლევან რატიანის დიდი როლი პანდემიასთან ბრძოლაში. პირადად მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინაც ოდნავი წვლილი შეიტანა პანდემიასთან ბრძოლაში. აქვე გამოვყოფ იმ დიდსულოვნებას, რომელიც გამოიჩინა ქართველმა ხალხმა. შეიქმანა მოხალისეთა ჯგუფები, როგორც ქვეყანაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტში. ისინი დიდი რისკის ფასად, სრულიად უანგაროდ ემსახურებოდნენ ადგილობრივ, შეჭირვებულ მოსახლეობას. დიდი მადლობა კიდევ ერთხელ ამ ძლიერ ქართველთმოყვარე ხალხს. მუნიციპალიტეტში მობილიზებულ იყო ცხელების ცენტრი. საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და რაიონი რჩება მწვანე ზონად.

ძველ ხიბულაში მიმდინარე პროცესები ყველას სიამაყეს გვმატებს, რადგან ამ სოფლის აღმშენებლობის თანაზიარი გავხდით. თქვენ მითუმეტეს, როცა ეს ყველაფერი „ქართული ოცნება“ და ფონდი „ქართუს“ ეგიდით ხდება. რას ეტყოდით თანამოაზრეებს და იმათ, ვისაც ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაპირების შესრულების არ სჯეროდათ?

–რა მეთქმის მადლობის მეტი. ეს არის უდიდესი პროექტი, რომელიც რაიონს მომავლისკენ უხსნის გზას. ის, რაც გაკეთდა და კეთდება, არის ბატონი ბიძინა ივანიშვილის კეთილი ნება და დიდი საჩუქარი ძველი ხიბულის და რაიონის მოსახლეობისთვის. არ არის გასაკვირი, რომ გამოერიოს ერთი ორი ადამიანი, რომლებიც დაბოღმილები არიან და საყვედურის სბაბს ეძებენ, მაგრამ მართლაც საქმემან შენმა გამოგაჩინოსო. ფაქტი სახეზეა.

როგორ წარმოგიდგენიათ ხობის მუნიციპალიტეტის ხვალინდელი დღე?

–აღვნიშნავ, რომ ხობის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია რეგიონში, როგორც ტერიტორიის სიდიდით, ასევე მისი ინფრასტრუქტურით და არსებული პერსპექტივით. ყველა ხედავს, რომ როგორც ქალაქი ხობი, ასევე მისი სოფლები იცვლება დღითიდღე. ყოველდღიურად უმჯობესდება რაიონში, როგორც ინფრასტრუქტურული ასევე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ძალიან ბევრია, მაგრამ ეს პრობლემები გათავისებულია ხელისუფლების მიერ და ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული პრობლემების შესამცირებლად.

ვფიქრობ, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით ყველა პრობლემა გეგმაზომიერად ხალხის საკეთილდღეოდ მოგვარდება.

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

„ქუჩის ბიბლიოთეკის პრეზენტაცია“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ხობიnews“-ის ხელმძღვანელმა ლელა ალანიამ პროექტში „მეტი ნდობა სიკეთის გასაკეთებლად“ იდეების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, ეკო-კლუბის წევრებთან ერთად ქალაქ ხობის ცენტრალურ პარკში „ქუჩის ბიბლიოთეკის“ პრეზენტაცია გამართა, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ სასიამოვნო გარემოში წაიკითხონ წიგნები და გაზეთების საშუალებით გაეცნონ ახალ ამბებს. (ქუჩის ბიბლიოთეკას გაზეთებით „ხობის მოამბეს“ რედაქცია უზრუნველყოფს).

პროექტის „მეტი ნდობა სიკეთის გასაკეთებლად“ მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესებას, გააძლიეროს, გაზარდოს მათი ანგარიშვალდებულება მოქალაქეების მიმართ და განამტკიცოს კავშირები სხვა აქტორებთან.

პროექტის პრეზენტაციას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის დაფინანსებითა და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRD) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017 -2020) ფარგლებში.

სესილი ნარსია,
თამარ ბასილაია.

სოფელი

განვითარების ახალი შესაძლებლობები

ოფიციალურად დადასტურებული ისტორიული წყაროებით, ქარიატა მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნისა და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა მიჯნების ცნობილი პონტოელი ბერძენი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და მოგზაურის სტრაბონის ნაშრომებში. ცნობილია, რომ თანამედროვე ისტორიკოსთა დიდი ნაწილის დადასტურებული ვარაუდით, მან იმოგზაურა კოლხეთში და სავარაუდოდ მდინარე ხობით შემოვიდა კოლხეთის სიღრმეში, კერძოდ, დღევანდელი ქარიატის მიდამოებში. მოგზაურს მოეწონა მდინარის ხეობის სანახები და უწოდა „ქარიენტე“, რაც მათ ენაზე

მშვენიერს ნიშნავს. კანონზომიერი ენობრივი ცვლილებების შედეგად სიტყვა „ქარიენტესგან“ მივიღეთ „ქარიატა“. ადგილობრივ უხუცესთა ინფორმაციით, ქარიატა იყო ერთ-ერთი უბატონო სოფელი იმის გამო, რომ აქ იყო წმინდა გიორგის ეკლესია. აქაურებს მოიხსენიებდნენ, როგორც წმინდა გიორგის ყმებს.

2015 წელს ქარიატის ცენტრში საფუძველი ჩაეყარა წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში დღევანდელი მდგომარეობით 331 ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის დევნილი 19 ოჯახი. მოსახლეობა 863-ია, მათ შორის 53 დევნილია. დევნილების რაოდენობა მთლიანად მოსახლეობის 6.15%-ს შეადგენს

ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში 2012-2019 წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. ადმინისტრაციული ერთეულის ორივე სოფელში შეყვანილია სასმელი წყალი.

ახალი წყალსადენი სისტემა 2019 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. გაღმა ქარიატაში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საავტომობილო გზას–გაფართოვდა გზის საფალტის საფარი, მოეწყო მოსახლეობის ჭიშკრებთან მილხიდები და მისასვლელები, აშენდა მოსაცდელი პავილიონები, განლაგდა საგზაო ნიშნები. გამოღმა ქარიატაშიც ანალოგიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზის მშენებლობა. დაიგო რკინა-ბეტონის საფარი, ასევე აშენდა მოსაცდელი პავილიონები, განლაგდა საგზაო ნიშნები, მოეწყო მილხიდები და მოსახლეობის ჭიშკრებთან მისასვლელები. სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება.

მდინარე ხობისწყლის ყველაზე კრიტიკულ ორ მონაკვეთზე მოეწყო ნაპირსამაგრი გაბიონი.

სოფელში ფუნქციონირებს ამბულატორია, რომელიც 2017 წელს გარემონტდა და კეთილმოეწყო. გაღმა ქარიატაში ფუნქციონირებს ერთი მინი საფეხბურთო მოედანი, რომელიც განახლდა 2016 წელს, ხოლო გამოღმა ქარიატაში 2019 წელს გაშენდა ახალი საფეხბურთო სტადიონი.

სოფელში არსებული სასაფლაოების ღობე შეიცვალა ახალი კაპიტალური ღობით.

ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი. წელს მივიღებთ 44 აღსაზრდელს, ბაღში დასაქმებულია 7 ადამიანი. საჯარო სკოლაში 100-მდე მოსწავლე და 20 მასწავლებელია. უახლოეს მომავალში იგეგმება სამი მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელება. იმის გათვალისწინებით, რომ საბავშვო ბაღში კონტიგენტი ყოველწლიურად მზარდია, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმა საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა, რომლის სავარაუდო ღირებულება 500 000 (ნახევარი მილიონი) ლარია. მდინარე ხობისწყალზე გაღმა და გამოღმა ქარიატის დამაკავშირებელი სახიდე გადასასვლელისა და მასთან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა. პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 2 950 580 ლარია. იგეგმება საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია. პროექტის სავარაუდო ღირებულება 60 000 ლარია. ქარიატის საჯარო სკოლაში 16 სერთიფიცირებული მასწავლებელია, ორი კი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მიღების ბოლო ეტაპზეა. შარშან ქარიატის სკოლის 5-ვე კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები, შარშანწინ კი ექვსიდან ხუთი გახდა სტუდენტი, მათ შორის 100%-იანი გრანტი მიიღო ერთმა კურსდამთავრებულმა–კონსტანტინე ბერაიამ. წელს ხუთი ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას ეროვნულ გამოცდებში, იმედი მაქვს, წარმატებით ჩააბარებენ გამოცდებს და წარჩინებული სტუდენტები გახდებიან.

სექტემბრიდან გამოღმა ქარიატაში ფართომასშტაბიანი სამელიორაციო სამუშაოების განხორციელება იგეგმება, რომლის დასრულების შემდეგ 80 ჰა სახნავ-სათესი სავარგული გადაურჩება მეორად დაჭაობებას.

ქარიატის მოსახლეობა ძირითადად დაკავებულია მეცხოველეობით და მარცვლეული კულტურის მოყვანით (სიმინდი, სოიო). ხორცზე და რძის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის გამო მეცხოველეობის დარგი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა.

კენკროვანი კულტურები არ არის ჩვენი ზონისთვის ტრადიციული კულტურები, თუმცა გარემოპირობები და ნიადაგი ხელსაყრელია ამ ახალი კულტურების გაშენება-მოვლა-მოყვანისთვის.

სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ახალი ქვეკომპონენტი „კენკროვანი კულტურები“, რომელიც ინტენსიური ბაღის გასაშენებლად 100%-იან დაფინანსებას გულისხმობს, უკვე ჩაერთო რამდენიმე ოჯახი. პროგრამაში ჩართვის მსურველები დღითიდღე იზრდება. ქარიატაში ფუნქციონირებს სასათბურე მეურნეობა, რომელიც ადგილობრივი ფერმერის ბადრი წულაიას პირადი ინიციატივით და სახსრებით არის შექნილი. მოწეული მოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზდება.

ქარიატაში არსებული ფლორა და ფაუნა, დიდი სამონადირეო და სათევზაო სივრცით, მდინარეები, ტბა, ტყის ფონდის სიდიდე და უნიკალურობა, თერმული წყალი, ტრადიციული სოფლის მეურნება მიმზიდველია ტურიზმის სხვადასხვა

სახეობების განსავითარებლად: აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვება (ბირდვოჩინგი), სამონადირეო ტურიზმი, სამდინარო ტურიზმი–ეს ის მიმდინარეობებია, რომელთა მიმართ უკვე არსებობს დაინტერესება ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მხრიდან. არსებობს შესაძლებლობა კიდევ უფრო განვითარდეს იგი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდეს. კოლხეთის დაბლობის მდიდარი და უნიკალური ეკოსისტემა, რომლის ნაწილი ჩვენი სოფელი გახლავთ, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სამონადირეო ტურიზმის მიმართულებით არამხოლოდ ქვეყნის მასშტაბით გავხდეთ მნიშვნელოვანი სამონადირეო ცენტრი.

კოლხეთის ეროვნული პარკი ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის ტყეების მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, სადაც შესაძლებელია მობუდარ თუ გადამფრენ ფრინველებზე, მცენარეებზე დაკვირვება. ჭაობები, მდინარეებზე კატერით, ცხენით და ფეხით სოფელში და ტყეში გასეირნება–ეს არასრული ჩამონათვალია იმ ეკოტურისტული აქტივობებისა, რომელიც ქარიატაში და მის მიდამოებში არსებულ „კოლხეთის ეროვნულ პარკშია“ შესაძლებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვცდილობთ ადგილობრივი მოსახლეობა დავაინტერესოთ ტურიზმის განვითარების მიმართულებით. პარალელურად ვაწვდით ინფორმაციას ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებზე. ადგილობრივი მეურნეობის ნატურალური ხასიათი, უძველესი მეთოდებით და ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის მეურნეობებში გადამუშავების ტრადიცია, ადგილობრივი პროდუქტებით გემრიელი კერძების მომზადების შესაძლებლობა სერიოზულ მოტივაციას შეუქმნის განსაკუთრებით უცხოელ ტურისტებს, ჩვენს სოფელში აგრარული ტურიზმის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად.

მართალია, სოფელში კიდევ მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი, მაგრამ კვლავ გვეიმედება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი (დაჩი) ბერაია, მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, რომ არა მათი თანადგომა და მხარდაჭერა პრობლემებს ვერ გადავჭრიდით. მადლობა მათ ამისთვის.

იმედი გვაქვს, პანდემიის საფრთხეებს მალე დაძლევს მსოფლიო და საქართველოს და მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენს სოფელსაც მიეცემა მეურნეობის, ტურიზმის სხვადასხვა დარგების განვითარების ახალი შესაძლებლობები.

ირაკლი ბერაია,
ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში.

გამოჩრჩეულთა ხვედრით...

მხოლოდ სულიერი დიაპაზონია ის კორეალატი, რომელიც გამოარჩევს რჩეულთ მრავალთაგან!..

გამორჩეულები უყვარს უფალს, უპოვარნი და არმქონენიც... ოღონდ, გამორჩეულებს მოუვლენს განსაცდელსა და წინააღმდეგობებს... მუდამ ფხიზლად და კრთომაში ჰყავს, „ღვთაებრივ“ კრთომაში.

იზიდავს დაუდგრომელი სულის ადამიანებს, რომლებიც ხალხის თვალში შეუცნობელ სტიქიას გვანან, როგორიც საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო!

ზვიად გამსახურდიას დარი პიროვნებები საუკუნეში ერთხელ თუ იბადებიან და თავიანთი მოწამეობრივი და უსაკვირვლესი ღვაწებით განუმეორებელ კვალს ტოვებენ კაცობრიობის ისტორიაში. ამ უდიდესი ადამიანის შინაგანი მისწრაფება განუხრელად დაემთხვა თავისი ხალხისა და დროის სულიერ მოთხოვნილებას. მან იცოდა როგორ ესაუბრა ხალხთან და როგორ შეერხია მათი სულის უჩინარი და მგრძნობიარე სიმები!.. ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რატომ უწოდეს მას მხსნელი, მესია... ლიდერომანიის საბჭოეთიდან გადმოძირკვული მიდრეკილებისა, თუ მასში მხსნელის შეცნობისა გამო? ქრისტეში გვანცვიფრებს პარადოქსი–ის ერთდროულად ღმერთიცაა და ადამიანიც. თუ დავაკვირდებით გამოკვეთილ სხვადასხვაობას: ცასა და მიწას, უკვდავებასა და მოკვდავს, ღმერთსა და ადამიანს, დავრწმუნდებით, რომ სრულიად ბუნებრივია ჩვენი გაოცება ამ პარადოქსისა გამო. მონოფიზიტების გამოკვეთილი აზრისა არ იყოს, ქრისტეს ცხოვრება და მოწამებრიობა, მიწიერი არსობა ღვთის მიერ განხორციელებული მისტერიაა და არაფერი ხდება გარეშე უზენაესისა.

ზვიად გამსახურდიას მოწამეობრივი სიკვდილი, მასში სასრულისა და უსასრულობის არსებობა, ინტელიგენტისა და გლეხის თანაალმობა, მეცნიერისა და პოლიტიკოსის ერთხმობა–დასტურია უფლისეული ძალმოსილების ზეობისა, რომელმაც ყოველმხრივი სიკეთით აღჭურვა ეს უნიკალური ადამიანი და ეროვნული ცნობიერების გოლგოთამდე, წამებით, მაგრამ ჩაუმუხლავად ატარებინა ჯვარი სამშობლოს თავისუფლებისა. ეს გახლდათ იდეა, რომელსაც აძლიერებდა რწმენა უმრავლესი ქართველებისა და ამხნევებდა მათი ტაში და შეძახილები... ის იყო ნამდვილი, საუკუნეებით ნანატრი ეროვნული მსოფლმხედველობით გამარადისებული იდეა. საოცრება ისიცაა, რომ სუნთქვა, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველთ გენიისა–აქ, ძველ ხიბულაში, ღურწკაიების კერაში შეწყდა. აქ დაასრულა ამქვეყნიური არსებობა ზვიად გამსახურიამ, ქართველი ერის სულიერი მისიის უუღრმესად შემცნობმა და თანაზიარმა. ის ქრისტესდარად აღესრულა. აი, კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მესიად წარმოისახეს მის საქმეს მიდევნებულმა გეორგიანელებმა.

ძველი ხიბულა გოლგოთის მისტერიით აღიჭურვა, ღვთისმშობლის კვართის საუფლოში ბატონი ზვიადის უსპეტაკესმა სულმა მოისხა სამშვინველი უკვდავებისა და აქედან, ამ კოლხური მზე-ციაგიდან შეუერთდა მარადისობას... ზვიად გამსახურდიას წასვლა, როგორც მისი მოქარიშხლება გახლდათ რაღაცნაირად დაუჯერებელი და ზღაპრული გიგანტური წითელი გველეშაპის წინააღმდეგ, მითიური გახლდათ.

ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში, დამერწმუნება, რომ უფალმა ის მარადისობისთვის სწორედ ამ საზღაპრეთიდან განამზადა. ბატონი პრეზიდენტი თავად გახლდათ მითოლოგიის ნაწილი. აკი წერდა კიდეც:

„ჩვენი დროის ნაკლი ის გახლავთ, რომ მითოლოგიას ორგანულად აღარ განვიცდით, მითის ცოცხალი განცდის დაკარგვა უკიდურესი გაფილისტერებაა ადამიანისა, ესაა თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების კრიზისისა და გაბერწების უმთავრესი მიზეზი.“

თავისუფლებისკენ მტოლველ პირველ პრეზიდენტს იმპერია დაუპირისპირდა და „აღესრულა იგი, ვითარცა ნაზარეველი...“

ღურწკაიების ორსართულიან ხის სახლში გავარდა ტყვია... გადიოდა დრო, ინგრეოდა, სახურავს მიწაზე განერთხო საყუდელი, ლპებოდა და იხავსებოდა, არც არვინ ჩანდა მომკითხავი და არც არვინ მეწუხილე, გარდა ზვიადელებისა, რომლებმაც გოგი ქაჯაიას, ხვიჩა შონიას, როზენ ლატარიას, ნოდარ ხურციასა და ნანა გვასალიას ხელმძღვანელობით მოახერხეს მეპატრონისგან სახლის გამოსყიდვა, მაგრამ შემდეგ უსახსრობის გამო ძვრა ვერ უქნეს ვერაფერს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა დიდი მეცენატი და მოღვაწე, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც იტვირთა გამოცოცხლება ამ სამყაროსი და მემორიალური სახლის გადარჩენა.

პირვანდელი სახე დაუბრუნდა ღურწკაიების ოჯახს, კეთილმოეწყო ეზოგარემო და შემოგარენი, ახლა შეუძლიათ ტურისტებს, მნახველებს, დაინტერესებულთ მოიხილონ „ქართული გოლგოთა“ და ინტერესის დაკმაყოფილებასთან ერთად, პატივი მიაგონ დიდი ქართველის ხსოვნას. „ქართუ ჯგუფი“ მხოლოდ ამით როდი დაკმაყოფილდა, სოფლის სრულ გაზიფიცირებასთან ერთად, აშენდა თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი საბავშვო ბაგა-ბაღი და უმთავრესი–ეკლესია! გზის ბეტონის საფარსა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე არაფერს ვამბობთ. დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს და „ქართუ ჯგუფს“, დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თუნდაც ოდნავი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვანი საქმეების ბოლომდე აღსრულებაში! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველი ადამიანი საკრალურია არა რელიგიური, არამედ სამოქალაქო, ჰუმანისტური თვალსაზრისით, თითეული ჩვენთაგანი განსახიერება უსასრულობს აღქმისა და შემეცნებისა. მთავარია, ამაზე ვიფიქროთ და დაკისრებული მისია უფლისეულად აღვიქვათ!..

ლაშა გვასალია

სოფლის ახალი სიცოცხლე

ძველი ხიბულა, ჩემი დედულეთი. სადაც ჩემი წინაპრების საფლავებია. სოფელი, სადაც პირველმა პრეზიდენტმა უკანასკნელი დღეები გაატარა... ამ ბოლო დროს უამრავი რამ იწერება ამ პატარა სოფელზე, იქ განხორციელებულ და მიმდინარე საოცარ პროექტებზე.

საკუთარი თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არ შემეძლო, თქვენთვის არ გამეზიარებინა სიხარული, რომელიც ძალიან დიდხანს გამყვება. არ ვარ ძველი ხიბულის მკვიდრი, მაგრამ შეუძლებელია უდიდესი მადლიერების გრძნობით არ განიმსჭვალო აქ განხორციელებული პროექტების ავტორების მიმართ.

ულამაზესი ბაგა-ბაღი, ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, იქვე გვერდით ულამაზესი ტაძარი და სამრეკლო, ბუნებრივი გაზი, წყალი, შიდა სასოფლო ბეტონის გზის საფარი, ახალი და ძველი ხიბულის დამაკავშირებელი, თითქმის ოცნებადქცეული ხიდი, ეს არასრული ჩამონათვალია იმ პროექტებისა, რომელთა ნაწილი დასრულებული, ნაწილი კი ამ წუთებში მიმდინარეობს. მადლობა, პირველ რიგში უანგარო, უსაზღვრო სიკეთისთვის!

მადლობა, თითოეულ ადამიანს, ვისაც თუნდაც მცირედი წვლილი მიუძღვის ამ სიკეთის განხორციელებაში. უბრალოდ მადლობა. ერთი ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქისგან.

თეა სოსელია,
პედაგოგი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ქალაქ ხობში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი გაიხსნა. ცენტრი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, წერელიასთან, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორ ავთანდილ თალაკვაძესთან, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან და მერთან გოჩა ქაჯაიასთან ერთად გახსნა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებული და ინვენტარით აღჭურვილი გადაუდებელი დახმარების ცენტრი, საქართველოს მთავრობის განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხით აშენდა და მის მშენებლობაზე 270 000 ლარი დაიხარჯა.

დასავლეთ საქართველოში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი კოლეჯ „ფაზისის“ ხობის (ნოჯიხევის) განყოფილებას ეწვია.

მინისტრის მოადგილე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუკრი ხასიასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულ ალექსანდრე მოთან, ხობის მუნიციპალიტეტის მერთან, გოჩა ქაჯაიასთან და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან ერთად, სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გაეცნო და კოლეჯის პედაგოგებს და სტუდენტებს შეხვდა.

სასწავლებელში სამი გრძელვადიანი და 13 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა ფუნქციონირებს.

სასწავლებელი სრულად არის კეთილმოწყობილი და აღჭურვილი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

კოლეჯი დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას და გახდნენ კონკრეტული დარგის პროფესიონალები.

კოკისპირული წვიმის შედეგად ქალაქ ხობში საცხოვრებელ კორპუსებსა და დევნილთა ჩასახლებებში არსებულ ვითარება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავამ, საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარიამ, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა მამაცაშვილმა და მერის წარმომადგნელი ქალაქ ხობში კობა თუთბერიძემ დაათვალიერეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კოსტავას ქუჩა 6-ში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ და იქ არსებულ პირობებს პირადად გაეცნენ. საცხოვრებელი კორპუსის შენობა არის ავარიული, გადასახურია, წვიმების შედეგად ჩადის წყალი და იტბორება სადარბაზოები, შენობაში აყრილია იატაკი, დაზიანებულია კარ-ფანჯარა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეისწავლეს კოსტავას ქუჩა 6-ში არსებული მდგომარეობა და დასახეს სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, 2017 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალ ხიბულაში ლოკოკინების ფერმა „ნადი გრუპი“ აშენდა.

ფერმა პროდუქციის რეალიზაციას, ძირითადად, იტალიაში ახორციელებს. წელს, ოქტომბერში, იტალიაში 45 ტონა ლოკოკინა ექსპორტზე გავა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ფერმა „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა.

ფერმის ასაშენებლად, ჯამურად, 1 860 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 1 260 000 ლარი ბენეფიციარმა შეღავათიანი აგროკრედიტით მიიღო. ფერმა წელიწადში, საშუალოდ, 50 ტონა ლოკოკინას აწარმოებს. საწარმოში, მუდმივად, 15 ადგილობრივია დასაქმებული.

„ბიოლოგიურად წარმოებული ლოკოკინა, ძირითადად საექსპორტო დანიშნულებისაა და ევროკავშირში გადის. ამ მიმართულებით სამინისტრომ აქტიურად იმუშავა. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ვალდებულებას ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ ვალდებულებებს, რომელიც სახელმწიფომ დააკმაყოფილა და, დღეისათვის, მოლუსკისნაირები და ლოკოკინები ევროკავშირის ბაზარზე არის დაშვებული. ღირებულებაში, ფერმერებისთვის ეს არის საკმაოდ საინტერესო მიმართულება ჰექტარზე შემოსავალი რამდენიმე ათეულ ათას ევროს შეადგენს“,–განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ლოკოკინების ფერმაში, მინისტრთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული, ალექსანდრე მოწერელია იმყოფებოდა. მისი განცხადებით, ლოკოკინების წარმოებას რეგიონში განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს, რასაც მოწმობს ის, რომ წარმოებაში ფერმერები აქტიურად ერთვებიან.

„**ხობში** ჩინური ინვესტიციით პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს პროექტი, პანდემიის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან საქართველოში საწარმოს გადმოტანის ერთ-ერთი პირველი მაგალითია. პროექტი საგანგებო ვითარების პარალელურად მზადდებოდა, უახლოეს პერიოდში კი მშენებლობა დაიწყება. განხორციელდება 50 მლნ ლარის ინვესტიცია და 400 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება“–განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ კომპანია „გლობალ რისაიქლინგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ.

შეხვედრაზე „გლობალ რისაიქლინგის“ წარმომადგენლებმა საინვესტიციო პროექტის პრეზენტაცია წარმოადგინეს და აღნიშნეს, რომ ხობის მუნიციპალიტეტში პლასტმასის ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნის და შემდეგ აღნიშნული მიწოდების ჯაჭვში ჩართული სხვა საწარმოო სიმძლავრეების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კომპანია „გლობალ რისაიქლინგმა“ ხობის მუნიციპალიტეტში 300,000 კვ.მ. მიწა „100 საინვესტიციო შეთავაზების“ პროექტის ფარგლებში პირობებიან აუქციონზე შეიძინა და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიიდან პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხნის გადმოტანას და შემდგომ აღნიშნული მიწოდების ჯაჭვში ჩართული სხვა საწარმოების საქართველოში გახსნას გეგმავს.

პირველ ეტაპზე, ინვესტორი 50 მლნ ლარის ინვესტიციას განახორციელებს, ხოლო მომავალში ხობში გეგმავს დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას.

ნომრის სტუმარი



მოსახლეობაზე ზრუნვა გაგრძელდება

როლანდ ჯიქია–სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილების უფროსი

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება წარმოადგენს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე ანხორციელებს მოქმედი კანონმდებლობით სააგენტოზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს.

განყოფილება ექვემდებარება სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს.

განყოფილების საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს სამოქმედო ტერიტორიაზე შეადგენს ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებები:

ა) სოციალური დახმარების პროგრამების პრაქტიკული რეალიზაცია და მისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ბ) სახელმწიფო გასაცემლების (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, აკადემიური სტიპენდია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, დახმარება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო) დანიშვნა–ცვლილება და შესაბამისი საქმეების წარმოება;

განყოფილება შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში:

ა) კანონმდებლობითა და დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში ღებულობს გადაწყვეტილებებს სოციალური დახმარების, სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციის, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე;

ბ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს მაძიებელი ოჯახების განაცხადის მიღებასა და ბაზაში განთავსებას, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარების შესწავლას და ოჯახის დეკლარაციის (ან შესაბამისი დოკუმენტის) ბაზაში განთავსებას და ფულადი სოციალური დახმარების–საარსებო შემწეობის დანიშვნასთან, შეჩერებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზაში განთავსებას;

გ) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ამზადებს, ამუშავებს და სააგანტოს ცენტრალურ აპარატს წარუდგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გასაცემად საჭირო დოკუმენტაციას;

დ) უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს სახელით მონაწილეობს სასამართლო საქმის წარმოებაში;

ე) სათანადო ინფორმაციის დამუშავების გზით, მონაწილეობს სააგენტოს ერთიანი საინფორმაციო (მონაცემთა) ბაზების ფორმირებაში;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის და დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

ზ) საკუთარი მიზნების მისაღწევად, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად და სათანადო ინფორმაციის მისაღებად კონსულტაციებს უწევს და თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

თ) უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს დირექტორის და/ან სააგენტოს დირექტორის მოადგილის მიერ მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ხელისუფლებამ 20 ლარით გაზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობა. 200 ლარის ნაცვლად გახადა 220 ლარი. აგრეთვე 220 ლარი გახდა მკვეთრად გამოხატული შშმ პირების (I ჯგუფი) პენსია, რომლებიც მანამდე იღებდნენ 200 ლარს, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული (II-ჯგუფი) შშმ პირების პენსია გახდა 140 ლარი (120 ლარის ნაცვლად).

2020 წლის 1 ივლისიდან კი იმ პენსიონერებს, რომლებიც მიმდინარე წლის 1 ივლისს გახდნენ 70 და მეტი წლის, სახელმწიფო პენსია გაეზარდათ 30 ლარით და შესაბამისად მათი პენსია 250 ლარი გახდა.

სახელმწიფო აქტიურად მუშაობს, რათა მომავალი წლიდან კიდევ გაიზარდოს სახელმწიფო პენსია.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილებით „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (covid–19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, პანდემიის გამო შემოსავლების დაკარგვით გამოწვეული პრობლემების დაძლევისა და კრიზისის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით დამტკიცდა „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“.

კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც იყვნენ დასაქმებულები, იღებდნენ ხელფასს და საგანგებო მდგომარეობის პერიოდში შეუწყდათ ან შეუჩერდათ შრომითი ურთიერთობა დამქირავებელთან ან/და დამქირავებლისგან არ იღებს ხელფასს (200 ლარი 6 თვის განმავლობაში).

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 65000-ზე და ნაკლებია 100001-ზე ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად 6 თვის განმავლობაში მიიღებენ კომპენსაციას (1 წევრიან ოჯახზე თვეში–70 ლარი, 2 წევრზე თვეში–90 ლარი, 3 წევრზე თვეში–105 ლარი, 4 წევრზე თვეში–140 ლარი, 5 წევრზე–175 ლარი და ა.შ.)

კომპენსაციას აგრეთვე მიიღებენ:

ა) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100001 სარეიტინგო ქულამდე მქონე ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 3 ან 3-ზე მეტი 0-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვი (100 ლარი).

ბ) მკვეთრად გამოხატული შშმ პირები (I ჯგუფი) და შშმ ბავშვები (100 ლარის ოდენობით);

გ) ინდივიდუალური მეწარმეები, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უფიქსირდებათ ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან, ასევე მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები, რომლებსაც მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭათ 2020 წლის 11 აპრილამდე და რომლებიც არ იღებენ დაფინანსებას ბიუჯეტიდან.

დ) ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლებიც საქართველოში გადასახადის გადამხდელი, პირისგან (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა), წარადგენს იმის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდა შემოსავალი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც თვითდასაქმებულები იყვნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ, რის გამოც 2019 წელს უფიქსირდებათ საზღვრის კვეთა არანაკლებ 60-ჯერ ან/და 2019 წლის მარტის თვიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით პერიოდში უფიქსირდებათ საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნა 30-დან 120 კალენდარული დღის ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის (საზღვრის კვეთა) საფუძველზე ეძლევათ შესაძლებლობა, სარეგისტრაციო პორტალზე დარეგისტრირდნენ კომპენსაციის მიმღებ პირებად.

სახელმწიფო კვლევაც გააგრძელებს მოსახლეობაზე ზრუნვას.

24 შემთხვევა პანიკის საფუძველს არ გვაძლევს, ეს პროგნოზირებადი იყო

დაავადებათა კონტროლისა ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის თქმით, დღეს დაფიქსირებული 24 შემთხვევა პანიკის საფუძველს არ იძლევა. ამის შესახებ მან COVID-19-ის ეპიდსიტუაციის შესახებ ბრიფინგზე ისაუბრა.

მისი თქმით, ეს სიტუაცია, გარკვეულწილად, პროგნოზირებადი იყო, რადგან ნებისმიერი შემსუბუქების პოლიტიკას, შესაძლოა, შემთხვევათა რაოდენობის მატება მოჰყვეს.

„ყველა ქვეყანაში ასე გახლდათ, შემსუბუქების პროცესში მოსალოდნელია, რომ შემთხვევათა რაოდენობამ იმატოს. მთავარია, რომ ეს მატება იყოს კონტროლირებადი და მართვადი. ჩვენს ქვეყანაში ეს პროცესი არის სრულიად მართვადი. მოსახლეობას არავითარი პანიკის საფუძველი არა აქვს“,– აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

მისივე განცხადებით, საქართველოს მოსახელობაში შეიქმნა ილუზია, რომ ჩვენთან ვირუსი დამარცხებულია, ეს კი სიმართლეს არ წარმოადგენს.

„ჩვენ არ დაგვიმარცხებია. კორონავირუსის პანდემიის დამარცხება მოხდება ერთიანად გლობალურად. ეს ვერ მოხდება ცალკეულ ქვეყნებში. კორონავირუსი არის ჩვენთან ერთად და ჩვენ ვცხოვრობთ მასთან ერთად“,–განაცხადა გამყრელიძემ.

StopCov-ის სტატისტიკით, 22 ივლისისთვის საქართველოში კორონავირუსის 24 ახალი შემთხვევა დადასტურდა. გარდა ამისა, გამოჯანმრთელდა 4 ადამიანი.

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორის, მარინა ეზუგბაიას განცხადებით, 24 ახალი ინფიცირებულიდან: 5 არის იმპორტირებული შემთხვევა და სატვირთო მანქანების მძღოლები არიან, 5 შემთხვევა დაავადებულებთან კონტაქტებია, 10 შემთხვევა გარდაბნის რაიონის კვლევისას დადასტურდა, 2 პაციენტის ინფიცირების წყარო კი ჯერ უცნობია და კონტაქტების კვლევა მიმდინარეობს.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში კორონავირუსის სულ 1073 შემთხვევაა გამოვლენილი, აქედან 907 ადამიანი უკვე გამოჯანმრთელდა, ხოლო 16 გარდაიცვალა. კარანტინის რეჟიმში რჩება 5692 პირი, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ–275.

უცხოეთიდან საქართველოში სამკურნალოდ 41 ადამიანი გადმოიყვანეს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია და თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი თოდუა ხობში ფერმერებს შეხვდნენ. შეხვედრაზე თხილის წლევანდელი მოსავლის რაოდენობისა და ხარისხის, დაბინავების და ექსპორტის საკითხები განიხილეს.

ბოლო წლებში თხილის სექტორი დიდი გამოწვევების წინაშე იდგა. სახელმწიფოსა და ფერმერების ერთობლივი მუშაობით, ეს სირთულეები დაძლეულია. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 2020 წლის მოსავალი, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხის თვალსაზრისით, გამორჩეულად კარგი იქნება. საერთაშორისო ბაზრების წლევანდელი ტენდენციების თანახმად, მოსალოდნელია საკმაოდ მაღალი ფასი, შესაბამისად, 2020-21 წლების სეზონი ფერმერებისთვის ფინანსურადაც წარმატებული უნდა იყოს. თხილის სექტორს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ჩვენს ეკონომიკაში. გვაქვს მოლოდინი, რომ ღირებულებაში 100 მილიონს გადავაჭარბებთ და, დაახლოებით, 55 ათასი ტონა ხარისხიანი თხილის მოსავალი გვექნება“,–განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მხარის რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ იმედი გამოთქვა, რომ ქართული თხილი ხარისხითა და კონკურენტუნარიანი ფასით ევროკავშირის ბაზარზე ძველ პოზიციებს დაიბრუნებს.

წელს ველოდებით კარგ მოსავალს. დაახლოებით 50 ათას ტონაზე მეტ მოსავალზეა საუბარი. მნიშვნელოვანია, ის რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, მოხდა მოსახლეობის ფართოდ ჩართვა ასოციაციაში და თხილის ბაღების მოვლა-პატრონობა ნამდვილად სათანადო დონეზე დგას. მინდა მოვუწოდო ყველას, რომ ბოლო წამლობა აუცილებლად უნდა ჩაატარონ. ჩვენ წელს მაღალი ხარისხის მოსავალი უნდა მივიღოთ, გვაქვს ძალიან დიდი მოლოდინი რომ დაკარგულ პოზიციებს ევროკავშირის ბაზარზე აღვიდგენთ,“–განაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ.

ლევან დავითაშვილი, ალექსანდრე მოწერელია და გიორგი თოდუა, სოფელ ახალ ხიბულაში, კობა შონიას თხილის ბაღშიც იმყოფებოდნენ. ფერმერს 2 ათას ძირამდე თხილი აქვს გაშენებული და თანამედროვე სარწყავი სისტემა აქვს მოწყობილი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის–„კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული რისკის შემცირება საქართველოში“ პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის რეგიონულმა კოორდინატორმა ლევან ბუსქანძემ საქართველოში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების გზებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუკრი ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტი პროექტის ერთ-ერთ სამიზნე მუნიციპალიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტები განხორციელდება.

აღნიშნულ პროექტს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მხარდაჭერით და „კლიმატის მწვანე ფონდის“ (UxF) დაფინანსებით ახორციელებს.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიების ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში თერმული ნისლის ტექნოლოგიით 2880 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დამუშავდა.

მონიტორინგის შედეგად, ახალი ხიბულის, ძველი ხიბულის, პირველი მაისის, ბიის, ხამისკურის, გაღმა საჯიჯაოს, თორსადღვაბის, ხეთის და ნოჯიხევის ტერიტორიებზე მავნებლის შედარებით დიდი რაოდენობით კონცენტრაცია დაფიქსირდა, ამიტომ წამლობა სწორედ აღნიშნული სოფლებიდან დაიწყო.

წამლობის დაწყების პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია, მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა შალამბერიძე გაეცნენ.

უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, აგრეთვე ფუტკრის დაცვის მიზნით, ღონისძიებები ღამის საათებში რეკომენდაციების სრული დაცვით ტარდება და მეფუტკრეებთან კოორდინირებულად იგეგმება.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრში ფუნქციონირებს სმს გზავნილების სისტემა, რომლის მეშვეობითაც დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, მოსახლეობას წინასწარ ეცნობება. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული მერია.

ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

* გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია გაეცნენ.

* პროექტის შესაბამისად 1.8 კილომეტრზე დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი. აშენდება ნაპირდამცავი გაბიონი, მოეწყობა სანიაღვრე არხები და ეზოებში შესასვლელები.

* გზა, რომელიც სოფელს ცენტრალურ საავტომობილო გზასთან აკავშირებს, ავარიულ მდგომარეობაში იყო და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

* ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 1 მილიონ 487 ლარია, ორ ეტაპად რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირებისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები დასრულდა.

პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ განახორციელა.

გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ თორსადღვაბაში მცხოვრებ 400-ზე მეტ ოჯახს ბუნებრივი აირით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

დასრულებული სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და მერის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ დაათვალიერეს.

სახალოშანი წინაპარი

დაუვიწყარი პიროვნება
(ვლადიმერ ნაჭყებია)

ვლადიმერ ბეჟანის ძე ნაჭყებია დაიბადა 1873 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ხეთაში, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თავის სოფელში.

1885-89 წლებში სწავლობდა ძველი სენაკის ქართულ სკოლაში. რომელიც მაშინ ერთადერთი ახალი ტიპის სკოლა იყო სამეგრელოში. ამ სკოლის სრული კურსის დასრულების შემდეგ ვლადიმერ ნაჭყებია ჩაირიცხა ქუთაისის ქართულ სკოლაში, სრული კურსის დასრულება არ დასცალდა–მამა გარდაეცვალა. იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელში. მას ერთადერთს, ხეთაში 90-იან წლებიდან გამოწერილი ჰქონდა ყველა სახის ქართული ჟურნალ-გაზეთი („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“ „კვალი“, „სახალხო გაზეთი“ და სხვა. მისი სიყრმის მეგობრის, ცნობილი მწერლისა და პედაგოგის იპოლიტე ვართაგავას გადმოცემით, ვლადიმერს, როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მოტრფიალეს, კარგი მოზრდილი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

ქუთაისიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდამ თან ქართული სცენის დიდი სიყვარული ჩამოიტანა, მოიწადინა ხეთაშიც გაემართა წარმოდგენები. მისი თავკაცობით ხეთაში ჩამოყალიბდა დრამატული წრე. ამ წრემ 1894 წელს გამართა პირველი წარმოდგენა, რომელმაც მეტად დიდი შთაბეჭდილება დატოვა. საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ვლადიმერის ამგვარ მუშაობას მაღალი შეფასება მისცა.

სამაზრო ქალაქ ზუგდიდში და მეზობელ სოფლებში (ცაიში, ხობი, ხორგა, ანაკლია და სხვა) სისტემატიურად მართავდა წარმოდგენებს და კონცერტებსაც. იგი ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი ლოტბარის, ძუკუ ლოლუას მიერ გაწვრთნილი საუკეთესო ოსტატი იყო. თვითონაც ადგენდა მომღერალთა გუნდებს დ საღამოებს მართავდა.

ვლადიმერ ნაჭყებიას ძალისხმევითა და მონდომებით 1926 წელს სოფელ ხეთაში დაარსდა საშა გეგეჭკორის სახელობის თეატრი. თეატრის მოზრდილ შენობაში ხშირად ტარდებოდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

1922-23 წლებში ვლადმიერს განუზრახავს ხეთაში საშუალო სკოლის გახსნა. 1928-29 სასწავლო წლისთვის შენობა უკვე მზად იყო. საჭირო გახდა შესაფერისი გამგის გამონახვა. მან ხეთის საზოგადოების საუკეთესო წევრთაგან შეადგინა დელეგაცია და მისი ხელმძღვანელობით იპოლიტე ვართაგავასთან მივიდა თხოვნით, ცოტა ხნით ემუშავა ხეთის ცხრაწლედის გამგედ და დედაქალაქიდან საცხოვრებლად ხეთაში გადმოსულიყო. იპოლიტე დათანხმდა და სათავეში ჩაუდგა ხეთის სკოლას.

ვლადიმერ ნაჭყებიამ 1938 წელს ხეთაში ჩამოაყალიბა მომღერალთა რაიონული გუნდი, რომელმაც ფართო მასებისა და ხელისუფლების ყურადღება დაიმსახურა. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ერთგულად ემსახურებოდა როგორც თეატრს, ასევე მის მიერ დაარსებულ სკოლას, იქ, სადაც დაწყებით კლასებში ასწავლიდა.

ვალმოხდილი მოღვაწე 77 წლის ასაკში, 1950 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა.

ბეჟან ნადარაია.

ფილიცანობა!

ტატა და ალექსანდრა ბუკიებს!

მიყვარს ივლისი, რადგან ჩემი ოთხი შვილიშვილიდან ამ თვეს ორი მოევლინა ქვეყანას. 13 წლის წინათ ჩემს ოჯახს მნიშვნელოვანი „პესრონა“, პირველი შვილიშვილი ტატა შეემატა, ალექსანდრასთვის ოქროს დაბადების წელია,–4 წლის გახდა ჩემი ფერია გოგო, უსაყვარლესი და ტიკტიკა, ბებოს ოქროს შვილიშვილი.

გილოცავთ თქვენს დღეებს. თქვენი არსებობა ყველა ბედნიერებაზე მაღლა მდგომია, შეუფასებელი სიმდიდრე ხართ ჩემთვის. ტატუკა, ბებო, უკვე დიდი გოგო ხარ, მახარებს და მაიმედებს ყოველი შენი წარმატება.

ყოველ ცისამარე დღეს ვმადლობ უფალს თქვენი არსებობისთვის!

ღვთის მადლი არ მოგშლოდეთ!

ნანი ბებო

კეთილი საქმე!..

პანდემიამ დიდი დაღი დაასვა ოჯახებიდან გაძევებულ ძაღლებს. ისინი დღემდე პრობლემად რჩებიან. რთულია მათი ცხოვრება და ყოველდღიური ყოფა, რადგანაც პატრონებმა ისინი გარკვეული დროის მერე შეიძულეს და სახლებიდან გააძევეს... ყურადღებას მიჩვეულებს გაუჭირდათ და აგრესიულები გახდნენ. ლუკმის მოსაპოვებლად ხელიდან სტაცებენ დიდსა და პატარას საკვებს და ასე ირჩენენ თავს. მაგრამ არიან ისეთი კეთილი ადამიანები, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ, მიტოვებულ ცხოველებს პურის ნატეხს უნაწილებენ, მით უფრო თუ ისინი რესტორნებსა თუ კვების ობიექტების სიახლოვეს დაიდებენ ბინას...

ახლა, როცა მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც კოვიდ-19 მძვინვარებს, რთულია მათზე ზრუნვა, ყველას თავისი გასჭირვებია. ეს თვეები ქუჩებში იშვიათად დადიოდნენ ადამიანები, თუმცა კეთილი ნების ადამიანები მათთვისაც იცლიან...

პანდემიას გამოწვევამ მამისეულ ოჯახში–ხობში დედაქალაქიდან ჩამოიყვანა ლევან ჯობავა. მან, როცა ქუჩაში ამდენი მოხეტიალე, მშიერი ძაღლი იხილა, გადაწყვიტა მათზე დროებით ეზრუნა. ყოველ მესამე დღეს ძაღლებს (15-20) აჭმევს. ერთ დღეს ამ ფაქტს მეც შევესწარი, შევეხმიანე, ინტერნეტში მის გვერდზე ინფორმაციებიც ვიხილე, ვიკითხე შესაძლებელია თუ არა მათთვის თავშესაფარზე ზრუნვა, მიპასუხა ასე, თავისუფალ ცხოვრებას შეჩვეულებს ძალზე გაუჭირდებათ გამოკეტილ მდგომარეობაში ყოფნა. მთავარია, მათ ჩაუტარდეთ სათანადომ ზრუნველობა, ყურებზე გაუკეთონ დამცველი აპარატი, იმის ნიშნად რომ ისინი საშიშები არ არიან...

ლევანი ერთ საყურადღებო ინფორმაციაში წერს, რომ ეს საინტერსოა მათთვის, ვისაც ძაღლები უყვართ–„ძაღლების ქუჩაში გამგდებ პატრონებზე არაფერს ვიტყვი, ერთ გამოგდებულ ცუგოზე გიამბობთ, რომ გერმანული ჯიშის ძუ „რეიმარანელია“, სავარაუდოდ 5-6 წლის, სახელად დროებით „ბროლია“ შევარქვი. ძალიან დამფრთხალია. რასაც ვეუბნები ყველაფერი ესმის ბევრ ადამიანზე მეტად. ახლა ჩემთანაა და სანამ საჭიროება მოითხოვს ზრუნვა და მოვლა არ მოაკლდება. თუ ვინმე ისეთი გამოჩნდება, რომ „ბროლიას“ პატრონი გახდეს, მომწერეთ!“

მადლობა თქვენ ლევან! იმ ყურადღებისთვის, რომელსაც მიუსაფარი ძაღლების მიმართ იჩენთ.

ღვთის მადლი გფარავდეთ აწ და მარადის!

ნეტავ თქვენსავით მრავალ ადამიანს გაუჩნდეს სურვილი იზრუნონ მიტოვებულ ძაღლებზე.

ნანი კილასონია

განცხადება

დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამის–„სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების“ რეალიზება, მიწის მესაკუთრეებს შესაძლებლობა ექნებათ ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენონ შემდეგი სასოფლო სამეურნეო საქონლის შესაძენად:

–სასუქები,

–მცენარეთა დაცვისა და მოვლის ქიმიურ-ბიოლოლგიური საშუალებები;

–სათესლე მასალები;

–შესაწამლი მოწყობილობები და მათი სათადარიგო ნაწილები. რომელთა შეძენა შესაძლებელია მისამართზე: ქ. ხობი, დადიანის ქ. №210 ეკლესიის მოპირდაპირედ.

რევაზ ბერაია,
მცენარეთა დაცვის მალაზიის მეპატრონე.

ბოდიშობილება

ბოდიშობილებს

მდინარე ხობისწყლის სანაპიროზე ანის ლეკვის განწირული კივილი შემოესმა. ახლოს მისული შესძრა ნანახმა, დასახიჩრებული ლეკვი ამაოდ ებრძოდა სიკვდილს. მან ხელში აიტაცა იავარქმნილი და სახლში გადამალა. იცოდა, მშობლები ამ საქციელს არ მოუწონებდნენ, მაგრამ გასაჭირი მათ მაინც გაუზიარა. ისე მოხდა, როგორც ელოდა, თუმცა საბოლოოდ ისინი მაინც დაითანხმა...

ტაქსით ლეკვი ზუგდიდში წაიყვანა და ვეტერინარს დაზიანებული თვალი ამოაღებინა. გოგონას კეთილშობილებით აღფრთოვანებულმა მძღოლმა მგზავრობის ღირებულების ნახევარი გადაახდევინა.

ანი ქანთარია მომავალი ექიმია. ის ექიმების კლარა ქირიას და ვლადიმერ (ვოვა) ქანთარიას ქალიშვილია.

ანიმ იმ დღეს ჩვენ დაგვამარცხა, მაგრამ სულიერად განგვკურნა.–ამბობენ მშობლები.

ვინ იცის მომავალი ექიმი რამდენ ადამიანს განკურნავს და აჩუქებს სიცოცხლეს...

ღვთის მადლი და სიყვარული არ მოგკლებოდეს, ანი!

ბადრი ლომაია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (დირექტორი კობა კობახიძე).

სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, ნინო სიჭინავა, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.

ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.